

გენდერული თანასწორობის გავლენა მაკროეკონომიკურ გარემოზე
საქართველოში

ნათია დევნოზაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შესაბამის)
ფაკულტეტზე (შესაბამისი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა:

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ყაველაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნათია დევნოზაშვილი

თარიღი - 19/06/2025

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება საქართველოში გენდერული თანასწორობის მაკროეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების კომპლექსურ ანალიზს, რადგანაც გენდერული თანასწორობა, სოციალური სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპთან ერთად, ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს კატალიზატორს წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა იმ ძირითადი მექანიზმებისა და არხების იდენტიფიცირება, რომელთა მეშვეობითაც გენდერული უთანასწორობა ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ამასთანავე, შეფასებულიყო გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პოტენციური მაკროეკონომიკური ეფექტები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა მონაცემები დასაქმებულთა დამოკიდებულებების, აღქმებისა და გამოცდილების შესახებ გენდერულ საკითხებთან მიმართებით სამუშაო გარემოსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ შემოსავალს ოჯახის ბიუჯეტის მცირე ან დამატებით ნაწილად აღიქვამს, რაც, შესაძლოა, ქალთა ეკონომიკურ დამოკიდებულებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ შეზღუდულ როლზე მიუთითებდეს. ამასთანავე, გამოკითხულთა უმრავლესობას (71.6%) ჰქონია სამუშაო ადგილზე სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის გამოცდილება, რაც ხაზს უსვამს დისკრიმინაციის გავრცელებულ პრობლემას. უფრო მეტიც, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (75.3%) არ ეთანხმება მოსაზრებას ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ანაზღაურების შესახებ, რაც ეკონომიკური უთანასწორობის თვალსაჩინო ინდიკატორია. ამას ემატება ისიც, რომ საოჯახო ვალდებულებები და დედობა/მშობიარობა რესპონდენტთა დაახლოებით 60%-ის მიერ კარიერული წინსვლის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად აღიქმება, ხოლო კარიერული განვითარების შესაძლებლობები რესპონდენტთა ნახევარზე მეტისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია.

Annotation

The paper is devoted to a complex analysis of the impact of gender equality on the macroeconomic environment in Georgia, since gender equality, together with the fundamental principle of social justice, is the most important catalyst for economic growth and sustainable development. Accordingly, the main goal of the study was to identify the main mechanisms and channels through which gender inequality affects the country's macroeconomic indicators, as well as to assess the potential macroeconomic effects of gender equality policies. To achieve this goal, a quantitative research methodology was used, namely, an online survey was conducted, within the framework of which data were collected on the attitudes, perceptions and experiences of employees regarding gender issues in the working environment and economic life. The survey revealed that a significant proportion of respondents perceive their own income as a small or additional part of the family budget, which may indicate women's economic dependence and their limited role in decision-making. In addition, the majority of respondents (71.6%) have experienced gender-based discrimination at work, which highlights the widespread problem of discrimination. Moreover, the absolute majority of respondents (75.3%) do not agree with the idea of equal pay for women and men, which is a clear indicator of economic inequality. In addition, family obligations and motherhood are perceived by approximately 60% of respondents as significant obstacles to career advancement, while career development opportunities are less accessible to more than half of respondents.